პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
26
სექტემბერი
№ 226
(16352)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ვალდებულებათა წარმატებით შესრულება თვითეული კოლექტივის ღირსების საქმეა

მოსკოვი. 24 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ჩვენს ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის თაოსანთა ჯგუფი: სურათზე: მიღების დროს.

საკდესის-საქინფორმის ფოტო.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო სტახანოვური მოძრაობის ვეტერანები

24 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის თაოსანთა ჯგუფი.

ლეონიდ ილიას-ძემ გულთბილად მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი — სტახანოვური მოძრაობის მე-40 წლისთავი სოციალისტური შრომის გმირებს კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ბორინს, ალექსანდრე ხარიტონის-ძე ბუსიგინს, მარიამ ივანეს ასულ ვინოგრადოვას, მარინე ვასილის ასულ ნინატენკოს, ივანე ივანეს-ძე გუდოვს, პრასკოვია ივანეს ასულ კოვარდაკს, პეტრე თევდორეს-ძე კრივონოსს, კონსტანტინე გრიგოლის-ძე პეტროვს, ნიკოლოზ სტეფანეს-ძე სმეტანინს. სტახანოველთა შრომითს გმირობას, პირადად თქვენს წვლილს ამ საქმეში, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია.

სტახანოვურ მოძრაობაში გამოვლინდა საბჭოთა ხალხის დიდი შესაძლებლობები, ინიციატივა, დიდი აქტივობა კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. პარტიამ მასში დაინახა მძლავრი ძალა, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულებინა სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში, და შექმნა ყველა საჭირო პირობა მისი ფართო გავრცელებისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა შემდეგ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტახანოვურ ტრადიციებს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის, მუშათა კლასის ახალგაზრდა ცვლის აღზრდისათვის. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანი მონაწილეობს შეჯიბრებაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში. სოციალისტური შეჯიბრება განუწყვეტლივ შობს ახალ თაოსნობებსა და ინიციატივებს, ხუთწლედის დამკვრელთა ახალ სახელებს.

მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებული შრომის, მათი დიდი პატრიოტიზმისა და კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო გამოხატულებაა ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა შეხვედრის მონაწილეებს უთხრა, თუ რა საკითხებზე მუშაობს პარტიის ცენტრალური კომიტეტი სკკპ XXV ყრილობის წინა ხანებში.

სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მათდამი დიდი ყურადღებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ყოველდღიური ზრუნვისათვის, შშვიდობის საკეთილდღეოდ და ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად დაუცხრომელი საქმიანობისათვის.

საუბრის დასასრულს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ შრომის ვეტერანები კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდობის აღზრდაში, გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ცოდნასა და ოსტატობას, განავითარებენ დამრიგებლობას. მან შრომის ვეტერანებს უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და კეთილდღეობა. ლეონიდ ილიას-ძემ ვეტერანებს სთხოვა დიდი სალამი გადასცენ და მალე გამოჯანმრთელება უსურვონ ალექსი გრიგოლის-ძე სტახანოვს.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. ი. პროხოროვი და ა. ვ. ვიქტოროვი. (საკდესი).

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲥᲣᲘᲑᲘᲨᲘ. 25 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). დღეს გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა შეასრულა ქვანახშირის გადამუშავების ხუთწლიანი გეგმა. მეცხრე ხუთწლედის წლების მანძილზე გამოშვებულია 67 მილიონი მანეთის პროდუქცია, მიღებულია 301 ათას მანეთზე მეტი მოგება, რაც 23 პროცენტით აღემატება გეგმას. წარმატება მიღწეულია საწარმოო პროცესების მექანიზაციის ფართო დანერგვისა და მეშახტეთა თავდადებული შრომის მეოხებით.

ფაბრიკის კოლექტივი დადგა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე და ვალდებულება იკისრა ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით 196 ათასი ტონა ქვანახშირი გამოუშვას, აქედან 70 ათასი ტონა ქვანახშირის კონცენტრატი.

ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ, ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“ მუშობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებამ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდო. იმის გამო, რომ პროდუქცია უხარისხო იყო, სავაჭრო ორგანიზაციები უარს აცხადებდნენ მის წაღებაზე. 1973 წლის პირველი იანვრისათვის საწყობში 1,4 მილიონი მანეთის ნაწარმი ეწყო. ნედლეულის მომწოდებლებისა და სახელმწიფო ბანკისადმი დავალიანება 2,9 მილიონ მანეთს აღემატებოდა. წუნდებული პროდუქციის ნამოფსების შედეგად ფაბრიკამ 1,7 მილიონი მანეთი იზარალა. აი სადამდე მიიყვანა ფაბრიკა უყაირათო მუშაობამ.

სოციალისტური შეჯიბრების სწორად წარმართვამ, ნაყოფიერმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. ჯერ კიდევ შარშან ფაბრიკა ჩაბარა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწყობრში. გავისტუმრეთ ვალები და ახლა ფაბრიკა რენტაბელურად მუშაობს. წლეულს პროდუქციის რეალიზაციის 9 თვის დავალება ვადამდე შევასრულეთ. პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, ეს მაჩვენებელი 12 პროცენტით გაიზარდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 83 ათასი მანეთი ეკონომია. ნაყოფიერი შრომის სიკეთე იგრძნო ყველა მუშამ, პრემიებისა და ერთდროული დახმარების სახით გაიცა 142 ათას მანეთზე მეტი.

მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების, რეზერვები ფაბრიკაში კვლავ ამოუწურავია. ამიტომ გულდასმით განვიხილეთ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის თაოსნობა და სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ახალი გადიდებული ვალდებულება ვიკისრეთ. გადავწყვიტეთ წლიური გეგმა 27 დეკემბრისათვის შევასრულოთ, გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 150 ათასი მანეთის პროდუქცია და მკვეთრად გავაუმჯობესოთ ფაბრიკის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ეს რედაქციას აცნობა ფაბრიკის დირექტორმა ნ. მუსმრიძემ.

ᲮᲣᲗᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ბაზის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირველი სექტემბრისათვის სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება უპატაჟა. ტვირთების გადაზიდვის გეგმა 109,7 პროცენტით შესრულა, ტვირთბრუნვისა — 105,5 პროცენტით, ტონა-კილომეტრების გარბენისა — 114 პროცენტით. ფულადი შემოსავლის დავალება 106,4 პროცენტით არის განაღდებული, მოგების გეგმას გადაჭარბებულია 35 პროცენტით. ეს მაღალი შრომითი მაჩვენებლები მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ავტოსატრანსპორტო ბაზის კოლექტივი ჩაება სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 80 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდოს.

ეს რედაქციას აცნობეს ავტოსატრანსპორტო ბაზის დირექტორმა **გ. ინანიანაძემ**, პარტბიუროს მდივანმა **ფ. დემირჩიევმა** და პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ **ტ. ხარაბაძემ.**

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კონიაკის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაება პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატება მოიპოვა. პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის დავალება სამშობლოს 17 სექტემბრისათვის უპატაჟა. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 1,5 მილიონი მანეთის ნაწარმი. წლიური ვალდებულება კი 1,8 მილიონ მანეთს ითვალისწინებს. მიღწეული შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ დაპირება ვადამდე იქნება განაღდებული.

საწარმოს კოლექტივი ფართოდ გამოიხმაურა თბილისელ მეკოპეთა თაოსნობას. მთავარ ყურადღებას ეუთმობთ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. განვლილ პერიოდში თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 210 ათასი მანეთი ეკონომია, ზეგეგმითმა მოგებამ 310 ათასი მანეთი შეადგინა. ეს რედაქციას აცნობა კონიაკის ქარხნის დირექტორმა **ო. რობაქიძემ.**



ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲓᲔᲡ

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲜᲔ 2.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ რაიონის მევენახეებმა პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება — ნაცვლად 23.000 ტონისა სახელმწიფოს 23.300 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. ამის გამო „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბაბიაშვილმა თქვა:

რაიონის მევენახეები მთელი წლის დაძაბული შრომის უხვი ნაყოფით ხარობენ. რთველი თავიდანვე ორგანიზებულად დაიწყო. საბჭოთა მეურნეობების მშრომელებთან ერთად ყურძნის საკრეფად დიდი ხალისით გამოვიდნენ რაიონის მუშა-მოსამსახურეები და უფროსკლასელი მოსწავლეები.

საბჭოთა მეურნეობებმა ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს და რთველი მოკლე დროში დაამთავრეს. ოქიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ირემაძე) ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიღეს, ამ მეურნეობამ, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 1.600 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდა 2.050 ტონა ყურძენი; ქისტაურის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. ტურაშვილი) ნაცვლად 2.050 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 2.600 ტონა ყურძენი. ამ მეურნეობებმა გადამეტებით შეასრულეს ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმებიც.

ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ახმეტის, მატნის და სხვა მეურნეობების მევენახეებმა. ამ გამარჯვებას ვუმადლით რაიონის იმ მევენახეებს, რომლებიც მთელი წლის მანძილზე, დარსა თუ ავდარში, ვაზს მართლაც შვილივით უვლიდნენ და უხვი მოსავალი მოიყვანეს. გამარჯვებას ვუმადლით ყველას, ვინც რთველის პირველი დღიდანვე ვენახში იყო და ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას ორმაგად და მეტად ასრულებდა. ისინი „ბევრნი არიან, მათი ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

ამ დიდ საქმეში დაგვეხმარნენ მეზობელი რაიონები, რომლებმაც ტრანსპორტი მოგვაშველეს, რომ მეუფერხებლად მოგვეტანა ყურძენი ღვინის ქარხნებში. ჩვენ მათ დიდ მადლობას ვუძღვნით.

რთველი გრძელდება. **რაიონის მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ ვალდებულების გადამეტებით 2.000 ტონამდე ყურძენი მიიტანონ სახელმწიფო მარანში.**

□ □

ᲡᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ

(25 სექტემბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ	80.000	79.637
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ	45.000	42.066
ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ	29.000	23.916
ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ	24.485	30.329
ᲐᲮᲛᲔᲢᲐ	23.000	23.300
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ	20.000	12.626
ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ	19.000	16.187
ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ	5.500	6.343
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ	15.860	12.539
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ	9.200	4.840
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ	10.000	4.443
ᲒᲝᲚᲜᲘᲡᲘ	8.725	5.686
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	26.850	872
ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ	18.100	2.575
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ	14.300	175
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ	5.450	1,143
ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ	5,350	185
ᲙᲐᲡᲞᲘ	9.350	466
ᲕᲐᲜᲘ	14.500	106
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ	2.020	271
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ	7.920	1.013
ᲡᲣᲚ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘᲐ		270.826

□ □

ᲡᲐᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝ ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲓᲐᲜ

Ა. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ 13 ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ

რთველის დაწყების დროს ვაქირელმა მოწინავე კოლმეურნემ ალექსანდრე დემეტრაშვილმა სიღნაღის რაიონის მშრომელებს მოუწოდა საკარმიდამო ვენახებში მოკრეფილი ყურძნის დიდი ნაწილი სახელმწიფოსათვის მიეყიდათ. დემეტრაშვილის პატრიოტულ თაოსნობას რაიონში ბევრი გამოეხმაურა. მათ გადაწყვეტეს საკარმიდამო ვენახებში მოკრეფილი ყურძნის 80-90 პროცენტი სახელმწიფო მარანში მიეტანათ.

რთველი რაიონში წარმატებით დამთავრდა. 30 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მისცეს მევენახეებმა. ამაში საკარმიდამო ზრდებში მოკრეფილი ყურძენიც საკმაოდ არის. თვით ინიციატორმა სიტყვა საძმედ აქცია, 13 ტონა და 200 კილოგრამი ჩაღალშაქრიანი ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს და 7.696 მანეთი ფული მიიღო ყურძნის საფასურად.

ა. დემეტრაშვილის მიმდევარი რაიონის სოფლებში ასობით მშრომელია. თვითულმა 3-5-8-10 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს. საქობოელმა ი. ხესიტაშვილმა და ანაგელმა გ. დარჩიაშვილმა 10-10 ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს. ი. კანდელაკაშვილმა, ნ. ჯალიაშვილმა, ლ. ბიჭიაშვილმა, ვ. ნარინდოშვილმა, ვ. ლეკაიშვილმა — 9-9 ტონაზე მეტი, ნ. ნატროშვილმა, ნ. ქოქუაშვილმა, ი. კიკილაშვილმა, ნ. გვირიკაშვილმა, ე. დარჩიაშვილმა, მ. საგინაშვილმა, — 8-8 ტონაზე მეტი, ნ. კუპრაშვილმა, ა. ლათიბაშვილმა, ი. წიკლაშვილმა — 7-7 ტონაზე მეტი, გ. ზურაშვილმა, თ. ნანობაშვილმა, ა. კორახაშვილმა, გ. მჭედლიშვილმა, ნ. ზედელაშვილმა, ა. კაკაშვილმა— 6-6 ტონაზე მეტი, ი. გოგოლაშვილმა, ბ. კიკილაშვილმა, ო. მჭედლიშვილმა — 5-5 ტონაზე მეტი. ისინი, ვინც სამი და ოთხი ტონა ჩააბარა, უამრავი არიან.

სურათზე: ა. დემეტრაშვილი რთველში.

ბ. ბუბუსიას ფოტო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ XXV. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

24 სექტემბერს გაიმართა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელზე განხილულ საკითხი პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XXII კონფერენციისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის სამზადისის ამოცანების შესახებ.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება. პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს, დედაქალაქის ყველა კომუნისტს მოუწოდა კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXII კონფერენციის მოწვევის შესახებ. (საკდესი).

ᲛᲫᲘᲚᲠᲐᲚᲝᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲕᲚᲔᲜᲣᲛᲘ

25 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელშიც განხილულ საკითხი: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაბამისად. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. მარკოვმა.

პლენუმმა დაადგინა, რომ **სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მორიგი მეექვსე ყრილობა მოწვეულ იქნას 1976 წლის ივნისში.** (საკდესის კორ.).

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდნენ.

ბაკო. 23 სექტემბერს გამართულ საზეიმო კრებაზე საპატიო ჯილდო გადაეცა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

ორდენი რომ გადასცა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა ხაზგასმით აღნიშნა უდიდესი როლი, რომელიც ყველა მომძე საბჭოთა რესპუბლიკამ შეასრულა აზერბაიჯანის მეცნიერების შექმნასა და განვითარებაში.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გ. მ. ბ. აბდულაევმა გულთბილი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მეცნიერების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

ერევანი. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას მიეძღვნა დღეს აქ გამართული საზეიმო სხდომა. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და ამერიკაკავასიის მომძე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების დელეგაციები.

საპატიო ჯილდოს გადაცემისას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ს. დემირჩიანმა აღნიშნა რესპუბლიკის მეცნიერთა დიდი წვლილი ფუნდამენტური ამოცანების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვ. ა. ამბარცუმიანმა თქვა, რომ აკადემიის მრავალათასიანი კოლექტივი აკადემიკოსი ალ-ოონესა და ენერგიას არ დაიშურებს საბჭოთა მეცნიერების წინაშე კომუნისტური პარტიის მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის.

* * *

საზეიმო სხდომების მონაწილეებმა ბაქოსა და ერევანში დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილები სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 24 სექტემბერი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტები პ. ბულუშევი, ნ. ჟელეზნოვი).

— დარწმუნებული ვარ, რომ კოსმოსში ჩვენი ერთობლივი ფუშაობა ხელს შეუწყობს მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას, — თქვა ხომალდ „აპოლონის“ მეთაურმა თომას სტაფორდმა საბჭოთა კავშირში სამგზაურად მყოფ ამერიკელ ასტრონავტებთან და საბჭოთა კოსმონავტებთან ლენინგრადის ეკ. ი. ლენინის სახელობის ოპტიკურ-მექანიკურ გაერთიანებაში შეხვედრის დროს.

საბჭოთა და ამერიკული ალმებით მორთულ ქარხნის კულტურის სახლში სტუმრებს მარტო ისვ კი არ შეხვდნენ, როგორც კოსმოსის მამაც მზვერავებს, არამედ როგორც პიონერებსაც დიდმნიშვნელოვან საქმეში — მეცნიერებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ორივე დღეს გაერთიანების კულტურის სახლში გაიმართა ისტორიული ექსპერიმენტისადმი მიძღვნილი ფერადი ფილმის პრემიერა. ეს ფილმი ორი კოსმოსური ხომალდიდან არის გადაღებული. დარბაზში ტაში გაისმა, როცა ეკრანზე გამოჩნდა საერთაშორისო ეკიპაჟის „დაბადების დღის“ — „სოიუზ“ ხომალდში ერთსულოვანი ხუთეულის პირველი შეხვედრის ამსახველი კადრები. ამ უნიკალურ ფილმს ავტორთა და კონტატორთა უფლებებით მიკროფონებით თომას სტაფორდი და ალექსი ლეონოვი „ამოვანებდნენ“.

ამერიკელი ასტრონავტები და საბჭოთა კოსმონავტები შეხვდნენ აგრეთვე გაერთიანების ხელმძღვანელებს, დაათვალიერეს საწარმოო საამქროები. ლენინგრადის მუშებს ამ ამადელვებელი შეხვედრის სამახსოვროდ დარჩათ კოსმოსური სუვენირები. მათ შორის არის კოსმოსში ერთობლივი მუშაობის დროს ორბიტაზე ორი ნახევრისაგან „შეპირაპირებული“ მედლის პირი.

ნაშუადღევს სტუმრები ეცნობოდნენ ლენინგრადის ღირსშესანიშნავ ადგილებს. ისინი იყვნენ რევოლუციის ლეგენდარულ კრეისერ „ავროორაზე“ და ამ ციხტის სამახსოვროდ მეზღვაურებს კოსმოსური სუვენირები დაუტოვეს.

ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სადილი გაუმართა „სოიუზ-აპოლონის“ ინტერნაციონალურ კოსმოსურ ეკიპაჟს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 25 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ. პ. ბულუშევი და ნ. ჟელეზნოვი), დღეს ლენინგრადიდან კიევს გაფრინდნენ ამერიკელი ასტრონავტები და საბჭოთა კოსმონავტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ.

— ეს ჩემი მეორე შეხვედრა იყო ნევისპირა ქალაქთან, — თქვა ლენინგრადიდან გამგზავრებისას „აპოლონის“ მეთაურმა თომას სტაფორდმა, — წარსული და აწმყო აქ ერთმანეთთან გადაუჭედია რუსი ხალხის ნიჭს.

— აღფრთოვანებული ვართ ლენინგრადელთა მამაცობით, რომლებმაც გაიმარჯვეს ჰიტლერული ბლოკადის 900 დღის შემდეგ, — აღნიშნა დონალდ სლეიტერმა, — ლენინგრადში შემოსვლისას ვნახეთ ძეგლი, რომელიც მოგვითხრობს ამ უმაგალითო გმირობაზე. ეს დაუვიწყარი მღელვარე მომენტი იყო.

— მშვენიერია ქალაქი, შესანიშნავი არიან მცხოვრებლები, დიდებულია მათი შრომა, — ამბობს ვენს ბრანდი.

დღეს, გამგზავრების წინ, ამერიკელი ასტრონავტები და საბჭოთა კოსმონავტები ოჯახებითურთ იყვნენ ექსკურსიაზე პუშკინსა და პავლოვსკში — ლენინგრადელთა დასვენების საყვარელ ადგილებში.



მოძმე აზერბაიჯანის ხუთწლედი

აზერბაიჯანელმა მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ხუთწლიანი გეგმა

ახალი მიჯნების დასალაშქრავად

აზერბაიჯანელმა მშრომელებმა, ვადამდე 10 სექტემბერს დაამთავრეს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მეცხრე ხუთწლედის გეგმა. ეს გამარჯვება შესანიშნავ შედეგად მოაყვა რესპუბლიკის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს დამკვრელურ, ეშმარიტად გმირულ შრომას და იმ პასუხსაგებ ამოცანების შესასრულებლად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ საქმიანობას, რომლებიც დასახა სკკპ XXIV ყრილობამ და მოეკიმლია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში.

ხუთწლედის მანძილზე მიღწეულია ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპი. სამრეწველო-პროდუქციის მატება 1975 წელს 1970 წელთან შედარებით 50 პროცენტს შეადგენს. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით დადგენილი 43-46 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება გაზრდება 34 პროცენტით მაშინ, როცა ხუთწლიანი გეგმა 31,1 პროცენტს ითვალისწინებს, სამრეწველო პროდუქციის მატების სამ მეოთხედს მივიღებთ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

რესპუბლიკაში უპირატესი ტემპით ვითარდება დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე 1,7-ჯერ და მეტად გადიდდება წარმოების მოცულობა ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, ლითონდამუშავებაში. სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობა, ხუთწლედის დავალებებს მნიშვნელოვნად გადააჭარბეს სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელმა დარგებმა — ქვედების, მსუბუქმა, ხორცისა და რძის მრეწველობამ.

1971-1975 წლების მანძილზე აზერბაიჯანში აშენდა და ამოქმედდა 50 სამრეწველო საწარმო და არსებული ქარხნების 25 ახალი საამქრო და წარმოება. წარმოებამ აითვისა 270 ნაკეთობა, მათ შორის 150-ზე მეტ საბჭოთა კავშირში პირველად არის ათვისებული. შეიქმნა 160 ახალი ტიპის მანქანა, მოწყობილობა და ხელსაწყო.

ხუთწლედის დაწყებისთანავე რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მასობრივი მოძრაობა გაიშალა ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ოვითეულ მშრომელ კოლექტივში დაბეჯითებით ეძებდნენ რეზერვებს, წარმოების სრულყოფის გზებს, რათა გამოეშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის ნაწარმი ნაკლები დანახარჯებით. სამრეწველო საწარმოთა 200-ზე მეტმა კოლექტივმა უკვე უპატაჟა სამშობლოს ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულება. პირადი ხუთწლიანი დავალებანი გაანაღდა 12 ათასმა მოწინავე მუშამ, ხოლო 500-მდე კაცმა ორი პირადი ხუთწლედიც კი შეასრულა.

წარმატებით ხორციელდება ხუთწლედის გეგმები სოფლის მეურნეობის დარგშიც.

აზერბაიჯანელმა მხვნელ-მთესველებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა და 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი მარცვლეულის დამზადების დარგში. ვადამდე გაანაღდებულია ავრეთვე სახელმწიფოსათვის ხამი ბამბის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ბაღჩეულის, ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, აბრეშუმის პარკის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის გეგმები. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების დარგში რესპუბლიკამ ჯერ კიდევ 1974 წელს მიაღწია ხუთწლედის ბოლო წლისათვის დადგენილ დონეს. 1970 წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 38,2 პროცენტი.

ახლა აზერბაიჯანის მინდვრებში გაჩაღებულია ბამბის კრეფა. ჩვენი მებამბეები, რომლებიც ერთძანეთს ეჯიბრებიან პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადალახეს რა დიდი სიძნელეები, იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფოს ჩაბარონ სულ ცოტა 550 ათასი ტონა ხამი ბამბა, და ამით გადააჭარბონ გასული წლის რეკორდულ მაჩვენებელს. დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს მევენახეებმა. მათ დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარეს 600 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, რითაც ბევრად გადააჭარბეს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მებოსტნეებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 430 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული, რითაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა.

აზერბაიჯანის ეკონომიკის განვითარებაში, კულტურის აყვავებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მოპოვებული წარმატებანი იმ მუდმივი ზრუნვისა და უდიდესი დახმარების შედეგია, რომელსაც რესპუბლიკას უწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ამ შამობრივი მზრუნველობის ახალი გამოვლინება იყო ის, რომ ლუნად ილიას-ძე ბრეჟნევის ინიციატივით ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა შესახებ“.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მშრომელებს რაზმავს მეცხრე ხუთწლედის პასუხსაგებ დავალებათა შესრულებისათვის, კომუნისტების, ყველა მშრომელის მეცადინეობას ახმარს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ყოველნაირად ცდილობს განამტკიცოს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, აამაღლოს მინდობილი საქმისადმი თვითეულის პასუხისმგებლობა.

აჯამებენ რა გაწეული შრომის შედეგებს, აზერბაიჯანელი მშრომელები გულითად მადლობას უძღვნიან შეჯიბრებაში მეტოქეობრობენს — საქართველოს, სომხეთისა და თურქმენეთის მშრომელებს. საერთო საწარმოთა კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ქალაქების, რესპუბლიკების შეჯიბრება გახდა შესანშნავი ტრადიცია, რომელიც აცისკროვნებს ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვან ძმურ მეგობრობას, მეცხრე ხუთწლედის წლებში შეჯიბრება განსაკუთრებით ფართოდ გაიაღდა. გამოცდილების მუდმივი გაზიარება, ურთიერთდახმარება, ერთობლივი ნაყოფიერი ძიება წარმოების დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრაში ეხმარება ჩვენი რესპუბლიკების მშრომელს კიდევ უფრო წარმატებით შესასრულო გეგმები, შუტინონ კომუნისტური აღმშენებლობის მიჯნებს.

მოპოვებული გამარჯვებით ფრთაშესხმულ აზერბაიჯანელი მშრომელები ახალი ვალდებულებებითა და სახელოვანი საქმეებით უპასუხებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“. ისინი ყრილობას ეგებებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონე, ცოდნა და უნარი მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობას.

გ. ა. ალიევი,
აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ᲛᲔᲒᲣᲠᲚᲐᲕᲘ ოსტატის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კომუნისტ აკიფ ამანოვის სახელი ფართოდ არის ცნობილი აზერბაიჯანში. პროკურორსკის დაღლობის რთულ გეოლოგიურ პირობებში ალი-ბაირამლის საბურღ სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის დავალება უკვე წლევანდელი წლის პირველ კვარტალში შეასრულა. წარმატების საწინდარი იყო ახალი ტექნიკის სწორად გამოყენება, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა და პლუს თვით ოსტატის თავდადებული შრომა, რომელიც უკვე 12 წელია თავის საყვარელ საქმეს ემსახურება.
მ. ჰუანეროვის ფოტო (აზინფორმ-საქინფორმი).

საპატიო წოდებისათვის

ᲐᲮᲐᲚᲘ ბაქოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშრომელები ყოლოგიზწინა დამკვრელურ ვახტზე დგანან. საწარმოს ყველა ქვეგანყოფილებაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის სახელობის კოლექტივების წოდებისათვის.

ენთუზიაზმი და რეზერვების ნოვატორული ძიება საგრძნობ შედეგებს გვაძლევს. წლის დამდეგიდან დავალების დამატებით რეალიზებულია მილიონობით მანეთი ი.ს. პროდუქცია. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა უკვე უსატაჟა სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება.

პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ბაქოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა გადასინჯა ნაკისრი ვალდებულებანი და იკისრა ახალი, გადიდებული ვალდებულებანი. კოლექტივმა გადაწყვეტა წლის დამლევამდე კიდევ გამოუშვას ასი ათასობით მანეთის დამატებითი პროდუქცია.

მირზა ბაბა აბტალიბ ოღლი,
სოციალისტური შრომის გმირი, ახალი ბაქოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის № 42 დანადგარის უფროსი.

რძის მდინარე

ᲩᲕᲔᲜᲘ კომბინატის მშრომელებმა წლის დამდეგიდან დავალების დამატებით დაამზადეს 600 ათასი მანეთის რძის პროდუქცია.

კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა 1975 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, ჯერ კიდევ ივლისში უპატაჟა სამშობლოს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მეცხრე ხუთწლედის გეგმის შესრულება.

ხუთწლედის წლებში რძის ნაწარმის გამოშვება 1,6-ჯერ გაიზარდა. ერთი-სამად გადიდდა არაყანის გამოშვება, ერთი-ოთხად — ხაჭოსი და ხაჭოს ნაწარმისა, 3,5-ჯერ — ქაღალდში დაფასოებული რძისა.

წარმოების ასეთ მკვეთრ ზრდას ხელი შეუწყო ტექნიკურმა პროგრესმა, სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვამ.

კომბინატის რძის სამზარეულო ყოველდღიურად სავაჭრო ქსელს აწვდის 40-მდე ნოყიერ „კერძს“: რძეს, კეფირს, მაწონს, ხაჭოს, არაყანს, ყოველგვარი სასარგებლო დანამატებით შეზავებულ ხაჭოს კვერებს.

ᲔᲗᲘᲠ ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲝᲕᲐ,
ბაქოს რძის კომბინატის ბრიგადირი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტები მიუძღვებიან

ᲥᲕᲔᲜᲘᲡ მბურღავთა ბრიგადებს შორის შორშან ერთ-ერთმა პირველმა უპატაჟა სამშობლოს ხუთწლიანი დავალების შესრულება მბურღავი ოსტატის მამედ ღამბაროვის კოლექტივმა. გულობილდ, გულითადად მოულოცა შეჯიბრების მოწინააღმდეგეებს გამარჯვება ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ოსტატ მამედ ღამბაროვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მისი ამხანაგები დაჯილდოდნენ ორდენებითა და მედლებით.

შეჯიბრების წამომწყებნი, სული და გული არიან კომუნისტები. მუშათა დროშის, აზერბაიჯანელ მენავთობეთა სახელოვანი ტრადიციების ერთგულების კომუნისტები, მ. ღამბაროვის მთელი კოლექტივი ახალი შრომითი მიღწევებით ადასტურებს.

ხუთაში მომუშავე მბურღავებმა, რომლებმაც ვადამდე გადასცეს საექსპლოატაციოდ № 383 ჭაბურღილი, სანგაჩალის საზღვაო სამაღლში დაიწყეს ახალი № 292 ჭაბურღილის ბურღვა. ნახევარ წელზე ნაკლებ დროში გაბურღულია 3.340 მეტრი სალი ქანები — თვეში თითქმის 600 მეტრი.

მბურღავებმა გადაწყვიტეს პარტიის XXV ყრილობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შრომითი საჩუქარი უძღვნან. ახლა სამუშაოები გრაფიკის ერთი თვეა გასწრებით სრულდება.

სპეციალური სიღრმემდე გასაბურღი დარჩა 700 მეტრზე ცოტა მეტი. 292-ე, ისე როგორც წინა ჭაბურღილი, მეათე ხუთწლედის ანგარიშში იბურღება.

ჩვენ ვიცით, რომ მომავალი ხუთწლედი იქნება ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი, და მის ზუსტ პარამეტრებს განსაზღვრავს XXV ყრილობა. ისიც ვიცით, რომ საბჭოთა კომუნისტების ყოველი უმაღლესი ფორუმი ხდებოდა ისტორიის თვალსაბრა ლაბორატორია, სადაც შობილა და რეალურად შეუსახამს ხორცი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალ ფორმებს, მაღალი მიზნის მიღწევის გზებს. სწორედ ამიტომაა ესოდენ მაღალი ლენინური პარტიის წევრთა შრომითი განწყობილება, რომლებიც ყრილობისწინა დამკვრელურ ვახტზე დგანან.

და როგორც ყოველთვის, უმნიშვნელოვანეს უბნებზე არიან კომუნისტი ამხანაგები, რომლებიც თავისი მაგალითით შთაგონებენ სხვებს.

ᲐᲚᲐ ᲓᲐᲓᲐᲨ ᲥᲔᲠᲑᲐᲚᲐᲘ,
ბურღვის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

უფრო უკეთ ვიშრომეგთ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მიერ ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამბავი მყისვე მოვდო ჩვენი ხიმინჯქალაქის ყველა უბანს. მენავთობეები და მბურღავები, მშენებლები და მეზღვაურები სიამაყით ლაპარაკობენ ამ სასახელო მოვლენაზე.

უნიკალურ სარეწ ქალაქში, რომელიც კასპიის ზღვაშია გაშენებული, ბევრია „მოწინავე, რომლებიც წარმატებით უტევენ მეცხრე ხუთწლედის მიჯნებს. ამას წინათ ჩემმა ბრიგადამაც გადააჭარბა ხუთწლედის მიჯნებს. 1971 წლის დამდეგიდან ჩვენ „განკურნეთ“ 650-ზე მეტი ჭაბურღილი. ამან შესაძლებელი გახადა კვლავ მიგვეღო სათბობი ჭაბურღილებიდან, რომლებიც 20 წელზე მეტი ხნის წინათ ჩაწვა წალისწედა ესტაკადებიდან.

რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელთა მიღწევა აღგვაფრთოვანებს ჩვენ, მერემონტელებს, ახალი შრომითი წარმატებებისათვის. გადავსინჯეთ ადრე ნაკისრი ვალდებულებანი და გადავწყვიტეთ აღთქმულის დამატებით შევაკეთოთ კიდევ ათი ჭაბურღილი.

ᲐᲓᲘᲚ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ,
სკკპ XXII ყრილობის სახელობის ჭაბურღილების მიწისქვეშა რემონტის ხაამქროს ბრიგადირი.

ქართველი მშენებლები ვოლოგდაში

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში მიღებულ ცნობა, რომ სისტემის სპეციალური სამშენებლო ძალარებლის კოლექტივმა, რომელიც ვოლოგდის ოლქში მუშაობს, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა სექტემბრის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა.

ეს მატარებელი გაგზავნა „რუსეთის სფსრ არამავმიწანიადაგიან ზონაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პასუხად. საქართველოს სოფლის მშენებლებმა პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნიეს გამოხმაურებოდნენ პარტიისა და მთავრობის მოწოდებას.

მატარებელი შეიქმნა სამინისტროს „მესამე, გორის ტრესტის ბაზაზე. სხვადასხვა მოწყობილობითა და საშენი მასალით დატვირთული ათობით ვაგონი გაგზავნა ვოლოგდის ოლქში, სადაც დღეს ორასამდე ქართველი მშენებელი შრომობს. ივლისიდან ისინი აგებენ კერამიტის ქარხანას, ასაწყობი რკინა-ბეტონის ქარხანას, სახლსამშენებელი კომბინატის საორთქლო კამერებს, კიდევ მთელ რიგ ობიექტებს ოლქის სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიული ბაზის განვითარებისათვის

სამინისტროში უკვე ბევრჯერ მიიღეს წერილები, რომლებშიც ოლქის ხელმძღვანელები მადლობას უხდიან სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და სწრაფი ტემპისათვის მატარებლის კოლექტივს, რომელმაც მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ვოლოგდის ოლქის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში (საქინფორმი).

„კომუნისტის“ კრიზისული მაპოსვლის შემდეგ

მიწა ცდება

რედაქციას უპასუხებს პარტიის თელავის რაიკომი

ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ „მასების კონტროლით“ დაიბეჭდა წერილი „მიწა ცდება“. წერილის გამო პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. ჯაბადარი გვწერს:

წერილში მოყვანილი ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲘᲜᲐᲓᲒᲕᲘᲚᲔᲑᲐ შეეფერება. რაიონის მეურნეობების ერთ ნაწილში, მათ შორის წერილში აღნიშნულ მეურნეობებში ჯერ კიდევ მაღალია ვენახების სიმეჩხერე, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, გასული წლის მკაცრი ზამთრით, ხოლო, მეორე მხრივ, ვენახების ცუდი მოვლა-პატრონობით.

საქართველოს კპ თელავის რაიონული კომიტეტი სისტემატურ ღონისძიებებს ახორციელებს ვენახების სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის. წელს ახალნაშენ ვენახებში ჩასაყრელად გამოყოფილი იქნება 500 ათასზე მეტი საუთარი წარმოების ვაზის ნერგი, ხოლო მოსავლიან ვენახებში გადაწყვენილ და გადახეიენებულ იქნება მილიონამდე ვაზი.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციას უპასუხებს პარტიის ამბროლაურის რაიკომი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ მიიღო სიგნალი, რომელშიც ამხილებდნენ ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავის კოლმეურნეობაში არსებულ დარღვევებს.

სიგნალი შესამოწმებლად გადაეგზავნა პარტიის ამბროლაურის რაიკომს. როგორც საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი ა. შარაბიძე გვატყობინებს, ფაქტები, რომლებიც ეხება საკოლმეურნეო მიწების არასწორად მოვლას, სინამდვილეს შეეფერება.

მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით გაუქმდა სხვავის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების 1972 წლის 16 მაისის დადგენილება ხიმშსა და სხვავაში მცხოვრებ შ. დ. ჯ. დონაძეებთან, ა. ხოსაძესთან, ს. საგანელიძესთან, შ. მდივნიშვილთან, ჯ. ნეფარიძესთან, ნ. ბერეგვაძესთან, რ. ჯოხაძესთან და თ. ნეფარიძესთან მიწების მოცვლის შესახებ, როგორც არასწორი.

მიწების თვითნებურად და უკანონოდ მოცვლისათვის სხვავის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თ. ნეფარიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სოფელ ხიმშში მცხოვრებნი მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, რომ დაუყოვნებლივ დატოვონ სოფელ სხვავის კოლმეურნეობის უკანონოდ დაკავებული მიწები.

ამბროლაურის სახალხო სასამართლომ განიხილა სხვავის კოლმეურნეობის ფართობზე კ. დონაძის მიერ უკანონოდ აგებული სახლის საკითხი და მას მიესაჯა ერთი წლის შრომა-გასწორებით მუშაობა ადგილზე მოხდით და თვიური ხელფასიდან 10 პროცენტის დაკავებით. აშენებული სახლი უსასყიდლოდ გადაეცა კოლმეურნეობას.

სამეცნიერო-საწარმოო სესია ეკონომიკაში

ხობი, 24 სექტემბერი. [illegible] რმის სპეც. კორესპონდენტ[illegible] ლიშვილი). აქ შეაჯამებენ მონაწილენი სამეცნიერო-საწარმოო სესიისა, რომელიც ეიღვნება კოლხეთის დაბლობის გადამეტტენიანებული მიწების დაშრობისა და ათვისების პრობლემას, სესია მოაწყვეს სსრ კავშირის ჯ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, ამ აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

სესიის მონაწილენი იყვნენ „კოლხეთის“, „განთიადის“, „ხუმუკურის“, „გალის“, „ენგურის“, საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც შექმნილია დაშრობილ მიწებზე, გეცნენ კოლხეთის კომპლექსური საველი სადგურის, ხობის, გალისა და განთიადის ექსპერიმენტული ბაზების მუშაობას, ეწვივნენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ბაზას, იყვნენ ქობულეთის საცდელ-სადრენაჟე უბანში.

— კოლხეთის დაბლობი როგორც მელიორაციის ობიექტი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. გ. შტეპამ, — უსაფუძვლოდ როდი ითვლება უნიკალურად, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო პრაქტიკაშიც. კოლხეთის განუმეორებლობას ანიჭებენ არა მისი ცალკეული [illegible] ... ბუნებრივი [illegible] ... კომ[illegible] ... ძლევსი. კოლხეთის დაბლობის ათვისების დიდი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ და განვაპირობოთ მისი მელიორაციის თანამედროვე ხერხები და მეთოდები. ზოგიერთი [illegible] დაინერგა. დანარჩენს სჭირდებათ დამატებითი თეორიული დამუშავება, ლაბორატორიული და საველე გამოკვლევა, საწარმოო პრაქტიკა. სამელიორაციო რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს და შიმოწმდეს ფალეული უბნებისა და რაიონებისათვის სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სახეობა-სანეურნეო კულტურის მოსაყვანად. კოლხეთის დაშრობისა და ათვისების პრობლემის გადაწყვეტას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ძნელია იმის დაჯერება, რომ იქ, სადაც დღეს გადაჭიმულა ჩაის პლანტაციები, ხეხილის ბაღები, ტუნგის კორომები, ახლო წარსულში ჭაობი იყო. ხალხს არ უყვარდა ეს ადგილები, „დამპალს“ უწოდებდა.

დღეს კოლხეთი საქართველოს გაანახლებული, აყვავებული კუთხეა. მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული ხალხი განაგრძობს ბარაქიანი მიწის ათვისებას. უკვე დაშრობილია 80 ათას ჰექტარზე მეტი გადამეტტენიანებული მიწები. მაგრამ „ოქროს საწმისის“ ლეგენდარულ მხარეში სიუხვის სამსახურში უნდა ჩადგეს მთელი მიწები — 225 ათასი ჰექტარი.

25 სექტემბერს გაიმართება სამეცნიერო-საწარმოო სესიის პირველი პლენარული სხდომა.

სესია 26 სექტემბრამდე გასტანს.

შევქმნათ ფერმებში საკვების მარაგი

საკვების დამზადება მალე დამთავრდება. ხულ უფრო ნაკლები დარიანი დღეები რჩება იმისათვის, რომ შევასრულოთ საკვების დაგროვების, საზოგადოებრივი პირუტყვის მაძღარი ზამორობის უზრუნველყოფის გეგმები და ვალდებულებანი. უკანასკნელ დღეებში შესამჩნევად დაჩქარდა უხეში საკვების დამზადების ტემპი. როგორც რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ამ ცნობიდან ჩანს, 22 სექტემბრისათვის თვის, სენაჟის, სხვა უხეში საკვების დამზადების წლიური გეგმა შესრულა 22 რაიონმა და აჭარის ასს რესპუბლიკამ. მთლიანად რესპუბლიკაში უხეში საკვების დამზადების წლიური გეგმა რეალიზებულია 94 პროცენტით. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ყაზბეგის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, ორჯონიკიძის, ცაგერის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, მახარაძისა და ზოგიერთი სხვა რაიონები, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.

ნელი ტემპით წარმოებს დასილოსება, განსაკუთრებით — კახეთის, გორის, თელავის, მცხეთის, დუშეთის, ცაგერის, წალენჯიხის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

ხოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის, პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, საკვების წარმოების ხაქმის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ. მეცხოველეობის აღმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა კოლექტივები. რესპუბლიკაში ფართოდ გამოეხმაურნენ ზუგდიდის რაიონის მოხწავლეთა პატრიოტულ ინიციატივას, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საკვების დამზადებაში.

ყველგან არის იმის პირობები, ყველა შესაძლებლობანი, რომ პირუტყვი უზრუნველყოთ საკმარისი რაოდენობის საკვებით, ეს შესაძლებლობანი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.
(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

	სულ უხეში საკვები	თივა	სენაჟი	სხვა უხეში საკვები	მზა სილოსი
ახალქალაქის	107	100	105	74	38
ბოგდანოვკის	94	74	103	71	93
ახალციხის	130	99	105	105	20
ადიგენის	162	118	114	97	57
ასპინძის	134	93	102	79	73
ხაშურის	157	142	149	104	47
ქარელის	117	112	106	95	81
გორის	134	136	127	85	11
კასპის	98	79	116	77	1
ბორჯომის	115	84	124	58	52
საბარეჯოს	120	106	88	102	81
ბურჯანალის	129	94	146	69	83
სიღნაღის	118	166	77	96	26
წითელწყაროს	112	117	93	105	55
თელავის	92	115	69	78	23
ახმეტის	100	50	83	91	33
ყვარლის	109	66	66	90	34
ლაგოდეხის	90	87	49	89	39
ბარდავნის	156	149	104	114	35
მცხეთის	120	108	111	58	19
მარნეულის	118	72	145	102	36
გოლენისის	96	73	68	70	24
წალკის	81	63	105	44	38
დუშეთის	103	79	110	115	9
თეთრიწყაროს	100	82	99	69	23
დმანისის	97	86	100	64	97
თიანეთის	115	79	136	69	—
ყაზბეგის	66	66	—	—	—
სამხრეთ ოსეთი	106	85	101	79	3
წყალტუბოს	36	118	100	4	44
სამტრედიის	44	100	112	7	76
წულუკიძის	29	62	62	5	43
ვანის	62	186	100	7	70
მაიაკოვსკის	94	334	112	49	78
ზესტაფონის	69	100	90	41	59
თერჯოლის	58	265	154	25	69
ჭიათურის (საქალაქო საბჭო)	59	180	107	20	22
საჩხერის	62	114	108	32	29
ორჯონიკიძის	37	125	100	2	27
ტყიბულის (საქალაქო საბჭო)	36	195	101	3	1
ონის	107	112	104	10	52
ამბროლაურის	74	108	100	12	—
ცაგერის	54	109	102	—	27
ლენტეხის	77	82	100	—	—
აბაშის	40	117	102	—	114
ცხაკაიას	38	39	100	—	92
გეგეჭკორის	31	117	106	—	49
ზუგდიდის	28	52	69	—	32
ხობის	28	43	93	—	99
წალენჯიხის	40	54	111	—	24
ჩხოროწყუს	38	71	95	—	42
მახარაძის	34	77	112	1	23
ლანჩხუთის	51	45	186	—	86
ჩოხატაურის	61	118	106	—	45
აფხაზეთის ასსრ	38	88	64	1	4
აჭარის ასსრ	102	117	71	—	39
სულ	94	89	100	55	43

სუმგაითის ალუმინის ქარხნის მარკით

ᲡᲣᲛᲒᲐᲘᲗᲘᲡ ალუმინის ქარხნიდან მოძმე ბულგარეთში ეს-ეს არის გაგზავნა თბოგადამცემთა დიდი პარტია. ამ ქარხნის პროდუქცია ახლა ეგზავნება საბჭოთა კავშირის ათობით ქალაქს, მას იცნობენ ჩეხოსლოვაკიაში, ინგლისში, არაბულ ქვეყნებში.

ამ მოწინავე საწარმოს მშრომელებმა ვადამდე, 4 წელიწადსა და 8 თვეში შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების მეცხრე ხუთწლედის დავალება. 1970 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა 24,2 პროცენტით, რეალიზაციისა — 28,1 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 85 პროცენტზე მეტი.

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები გაუმჯობესდა ახალი ტექნიკის დანერგვის, მოქმედ საამქროებში მოწყობილობის მოდერნიზაციის შედეგად. მეტად ეფექტიანი გამოდგა ვერცხლისწყალგარდამქმნელი ქვესადგურის გადაყვანა კაბადის გამმართველებზე. ამ სიახლემ მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა შრომის პირობები, სხვა სამუშაოებისათვის გაათავისუფლა ამ უბანზე დასაქმებულთ

თვალსაჩინოება — პროპაგანდის სამსახურში

მოძრავი გამოფენა — „ლენინური კურსით სკკპ XXV ყრილობისაკენ“

ეს მოძრავი გამოფენა დიდი გულმოდგინებით მოამზადა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის კოლექტივმა. იგი ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას.

გათვალისწინებულია, რომ გამოფენა ეწვევა რუსუბლიკის ყველა რაიონს. სტენდებზე პრობლემურ-ქრონოლოგიურად განლაგებულია 100-ზე მეტი ლენინური დოკუმენტი და მასალა, რაც მგზნებარე პროპაგანდისტის როლს ასრულებს.

ლენინური დოკუმენტები, ფოტო-მასალები, სკკპ გადაწყვეტილებები ის იდეურ-თეორიული და მეცნიერული საფუძველია, რომელსაც მოძრავი გამოფენა ეყრდნობა. მათში ასახულია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობაში, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.

და, აი, სექტემბრის მეორე ნახევარში მოძრავი გამოფენა ეწვია დმანისის რაიონს. იგი ორგანიზებულად განლაგეს კულტურის სახლის ერთ-ერთ დარბაზში. სტენდების გამართვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საექსკურსიო ბიუროს გამგემ ქსენია ქორიძემ, დმანისის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ზიადფად ალიევამ, კულტურის სახლის მხატვრულმა ხელმძღვანელმა სულიკო მამულაშვილმა.

მოძრავი გამოფენის დასათვალიერებელად მოვიდნენ რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები — მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მოსწავლეები, მასწავლებლები. გამოფენისადმი მიძღვნილი შერება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ჩსაიძემ. მან ილაპარაკა შრომითს ენთუზიაზმზე, რითაც მოცული არიან რაიონის მშრომელები, რომლებმაც ფარფოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

შეჯიბრების სათავეში რომ დგანან, თავიანთი პირადი ხუთწლედი ოთხწელნახევარში შესრულეს მესიმინდე ოსანა ასლანიანცმა, მწველავებმა ხანუმ ბაირამოვამ, მალეიკ მამედოვამ, ვეზალ მურადოვამ, ბალი ოსმანოვმა, მექანიზატორებმა შალვა დევნოზაშვილმა, თამარ მახნიაშვილმა, სოფიო ოქრიაშვილმა, ევგენია თეთრაძემ და ბევრმა სხვამ. ახლა ისინი მეათე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ.

სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის შედეგად მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს საათლოს, განთიადის, დუნუსს, ჯავახის კოლმეურნეობებში, ეთმარეთის საბჭოთა მეურნეობაში. რაიონმა 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის დავალება ხორცისა—104 პროცენტით, რძისა — 109 პროცენტით, მატყლისა— 111 პროცენტით.

მოძრავი გამოფენის დანიშნულებას რომ გაეცნენ, შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პროპაგანდისტი ჯ. მუსაევი, გომარეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი ვ. ჭელიძე. გამოფენის დამთვალიერებლებს მონტაჟ-მისალმება წარმოუდგინეს დმანისის საშუალო სკოლის პიონერებმა ზამირა ასლანოვამ, ნადეჟდა ასკეროვამ, მაია ალიევამ, საფაოთ ისმაილოვამ, სვეტლანა გონჩაროვამ, ნანა თამბაგარმა, ინგა სკეჩკოვამ, მარინა ლეონოვამ და ვარია კირიაკშვილამ. მათი მონტაჟი-მისალმება დამთავრდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობილი სტრიქონებით:

„ტუუბნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იკი
ერთგვარად შვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვყავს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს“.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრებს გამოეყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორი რიმა აკოფოვა, მიედო ერთ-ერთ სტენდთან და დაიწყო ლექცია გამოფენის თემატიკის მიხედვით.

— გამოფენაზე წარმოდგენილია 20 სტენდი ოთხი განყოფილებით,— დაიწყო მან,— „ვ. ი. ლენინი პარტიასა და პარტიის დაბარსებელი...“, „ახალი სოციალისტური საზოგადოების ხუროთმოძღვარი“, „ლენინური გზით კომუნიზმისაკენ“, „ვ. ი. ლენინი და მსოფლიო ოკეანეურ ეტაპი“, „ლენინური პროგრამა — ეროვნული ეტაპი“, ლექტორს გულდასმით უსმენდა ხალხით გაჭედილი დარბაზი.

იქვე, გვერდით ოთახში, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილი გივი ფანჩულიძემ გვიამბო:

— მოძრავი გამოფენა განკუთვნილია საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კლუბებსა, ბიბლიოთეკებსა და წიგნელ კუთხეებში ექსპონირებისათვის. იგი პირველად გეკონდა საგარეჯოს რაიონში. მოძრავი გამოფენა მშრომელებს აცნობს ყრილობადან ყრილობამდე განვლილ გზას, როგორც ორგანიზებულ თვალსაჩინოებას, მას წვლილი შეაქვს სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებაში, ჩვენი საბრძოლო ამოცანების იდეოლოგიურად უზრუნველყოფაში.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

სსრ კავშირის ინიციატივა — ყურადღების ცენტრში

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. (საკადრო). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიაზე პოლიტიკური დისკუსია დამაჯერებლად მოწმობს, რომ დაძაბულობის შენელების, პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების კურსი თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების მთავარი მიმართულება გახდა. სესიის მოწაწილეთა ყურადღების ცენტრში დგას საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო და კონსტრუქციული ინიციატივები, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სიტყვაში და კონკრეტულ მინაარსს მატებენ დაძაბულობის შენელების საქმეს.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. მატილამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფინეთის მთავრობა უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადებას. ვიმედოვნებთ, თქვა მინისტრმა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ატომური იარაღის გამოცდის სრულ და საყოველთაო აკრძალვას, ბოლოს და ბოლოს მკვდარი წერტილიდან დაძრავს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ანდერსონი მიესალმა საბჭოთა წინადადებას ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ჟენევაში გამართულმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა შექმნა კლიმატი, რომელიც ხელს უწყობს ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას.

ასეთივე აზრი გამოთქვა თავის გამოსვლაში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. რუმორმა. დისკუსიის დროს გამოსვლისას ინგლისის საგარეო და ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი ხელშეკრულების პროექტის გამო განაცხადა: „ინგლისი მხარს უჭერდა ამ მიზანს, და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ ამ ინიციატივას“. ჩვენ ასევე მივესალმებით, თქვა მან, ლონისძიებებს, რომლებსაც შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ახორციელებენ ატომური შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესებისათვის. ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს დაუძლეველი დაბრკოლებანი ვლადივოსტოკში მიღწეული შეთანხმების წარმატებით დამთავრებისა და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი გრძელვადიანი შეთანხმების დადებისათვის.

სესიის მონაწილენი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის წინადადებას ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღისა და ახალ სისტემათა ასეთი იარაღის შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა მას „ძალზე დროული და სასარგებლო“ უწოდა.

ბევრი დელეგატის გამოსვლებში აღინიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთლიანად შეესაბამება ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს. ინდოჩინეთში მრავალი წლის ომის შეწყვეტა იყო გასული წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა, განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. მიაძავამ.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲩᲘᲛᲝᲠᲨᲘ

ჯაკარტა, (საკადრო), ტიმორის კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში ყველავ გაძლიერდა ბრძოლა პორტუგალიის ამ კოლონიის დამოუკიდებლობის მომხრეებს (რომლებსაც ფრატილინის პარტია წარმოადგენს) და იმ ძალებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთ ტიმორის ინდონეზიასთან შეერთებისათვის იბრძვიან.

კუნძულზე შეიარაღებული კონფლიქტი წარმოშვა რეაქციულ დაჯგუფებათა მოქმედებამ, რომლებმაც პორტუგალიაში პოლიტიკური ვითარების გამწვავებება ფრატილინის პარტიის წევრთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისათვის გამოიყენეს. რეაქციონერებმა ფრენტილინს ბრალად დასდეს პორტუგალიის შეიარაღებული ძალების მოძრაობის პროგრესულად განწყობილ ოფიცრებთან ურთიერთობა და შეეცადნენ მოესწროთ გადატრიალება და შეიმუსრათ ფრატილინის მომხრენი, სასამ აღმოსავლეთ ტიმორის ეს ყველაზე გავლენიანი პარტია ძალაუფლებას აიღებდეს კოლონიური ადმინისტრაციისაგან. მაგრამ პუტჩისტები მოტყუვდნენ — ისინი უკუაგდეს ინდონეზიის საზღვრისაკენ.

რამდენიმე დღის წინათ ინდონეზიასთან შეერთების მომხრეებმა შექმნეს ეგრეთწოდებული „პორტუგალიის ტიმორის ანტიკომუნისტური მოძრაობა“, როგორც ჯაკარტის პრესა იუწყება, ამ დაჯგუფების შეიარაღებულმა ძალებმა ინდონეზიის საზღვრიდან, სადაც დაბანაკებული არიან, დაიწყეს შეტევა აღმოსავლეთ ტიმორის ტერიტორიის სიღრმეში მისი დედაქალაქის — დილის მიმართულებით. მათ ხელთ იყოდეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და შეავიწროვეს ფრატილინის შეიარაღებული ძალები.

როგორც პრესა იუწყება, გუშინ „ანტიკომუნისტური მოძრაობის“ შტაბბინას, რომელიც ინდონეზიის საზღვრის მახლობლად მდებარეობს, ეწვია ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ისნაენი. ანტაარის საააგენტო აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ მან „გაამაფრთხილა პორტუგალია“, და განაცხადა, რომ „ინდონეზია“ ვერ შეურიგდება ტიმორში ვითარების შემდგომ გართულებას.“

ᲒᲐᲛᲝᲑᲔᲜ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

ნიკოზია. (საკადრო). კვიპროსის პროგრესული საზოგადოებრიობა შეშფოთებასა და წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ კუნძულის თურქთა თემის ხელმძღვანელობა აპირებს ცალმხრივად გამოაცხადოს „კვიპროსელ თურქთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა“. კვიპროსის თურქთა თემის ეგრეთწოდებულმა „დამფუძნებელმა კრებამ“ უკვე უყარა კენჭი თემის ლიდერის რ. დენქტაშისათვის შესაბამისი რეზოლუციების მინიჭებას.

ქვეყნის დემოკრატიული წრეები გმობენ ამგვარ სეპარატულ აქციებს, და მიიჩნევენ მათ კიდევ ერთ ნაბიჯად კვიპროსის გაყოფის გზაზე.

ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 18

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთვრამეტე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში დაბეჭდილია: **დ. კაკაბაძე** — ამხანაგი აგიტატორი; **დ. იბრაგიმოვი** — სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მთავარი მიმართულება; **ნ. ჭეთაანავა** — სიუხვის გზით; **კ. მაჭარაშვილი** — საყოველთაო დღესასწაული; მშრომელი მასების წინამძღოლი; რას ნიშნავს იყო საბჭოთა პატრიოტი და ინტერნაციონალისტი; **მ. გოცირიძე** — კომუნისტური შრომის სკოლები — ახალ სასწავლო წელს; **ი. მარუაშვილი** — იალალიზე, მწყემსებთან; **ი. ჩხარტიშვილი** — მიკროაიონი, მოსახლეობა, აქტივი; **ი. ტაბიძე** — პოლიტინფორმატორი და წარმოების ეკონომიკა; სანიმუშო თემატიკა ლექციების, მოხსენებებისა და საუბრებისათვის ოქტომბერში და სხვა საინტერესო მასალები.

ᲯᲔᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲤᲘᲐ

Ა. ᲙᲣᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ჰელსინკი, (საკადრო). პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა „ბანერ ოტიდონანტაისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის მოსაწესრიგებლად საჭიროა კვლავ გააქტიურდეს შეიარაღებული ძალების მოძრაობა, როგორც პროგრესული მოძრაობა და რევოლუციის ავანგარდი. ამასთანავე მთავრობამ უნდა განახორციელოს დემოკრატიული პოლიტიკა, რომლის მიზანი სოციალიზმის აშენებაა. ეს მეტად რთული პროცესია, რომელიც დროს მოითხოვს, თქვა ა. კუნიალმა.

როგორც მან შემდეგ აღნიშნა, კომუნისტები მონაწილეობენ მეექვსე დროებითს მთავრობაში, რათა დაიცვან სწორი პოლიტიკა და ებრძოლონ ყველას, ვინც ცდილობს საეჭვო გახადოს რევოლუციის დიდმნიშვნელოვანი მიღწევები — ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა და მშრომელთა სოციალური მონაპოვრები.

მთავრობის როლი ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში მეტად დიდმნიშვნელოვანია, განაგრძო, ა. კუნიალმა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლუციის ბედს პორტუგალიაში წყვეტენ მუშათა კლასი და ხალხთა მასები. პორტუგალიის „რევოლუციის მამოძრავებელი ძალაა ხალხისა და შეიარაღებული ძალების მოძრაობის ავანგარდი.

ა. კუნიალმა აღნიშნა, რომ, რევოლუციური ძალების განმტკიცების მეუხვადავად, ფაშიზმის საფრთხე არ გამქრალა.

მან გადაჭრით დაგმო აგრეთვე უკიდურესი მემარცხენე დაჯგუფებანი, რომლებიც, მისი თქმით, უარყოფენ როლს ასრულებენ რევოლუციურ პროცესში. ზოგიერთი ასეთი ჯგუფი, განაცხადა მან, უერთდება ფაშისტთა ბანდებს. ასე იყო, მაგალითად, კომპარტიის შენობაზე თავდასხმის დროს.

ახალი დემოკრატიული პორტუგალიისათვის, თქვა ა. კუნიალმა, აუცილებელია მეილი პროგრესული და დემოკრატიული ძალების საერთაშორისო სოლიდარობა.

ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

პარიზი, (საკადრო). ხმოვნრაციაში მეოფმა დონ კარლოს ბურბონმა — ფრანკოს მემკვიდრედ დანიშნული ხუან კარლოს ბურბონის მამამ — აქ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გმობს ესპანეთის ახლანდელ რეჟიმს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფრანკისტულმა რეჟიმმა, ოლონდ გადარჩეს და იწყო ტერორის უკანასკნელი ესკალაცია.

ესპანეთში არსებული პოლიციური სახელმწიფო ახშობს ყოველგვარ თავისუფლებას, ნათქვამია განცხადებაში.

როცა ხალხი მოკლებულია თავისუფლებას, როცა მთავრობა ყოველწლიურად თრგუნავს ფმათ, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის, როცა დაპატიმრება, წამება, აწიოკება, სიკვდილის განაჩენები სულ უფრო ხშირდება, სრულიად გარდაუვალია, რომ ასეთი სახელმწიფოს კანონიერებას აღარ ცნობენ და აღარ დაემორჩილებიან.

დონ კარლოსი სხვა ქვეყნებს მოუწოდებს გულგრილად ნუ მოეკიდებიან ესპანეთის მდგომარეობას.

ᲡᲐᲐᲦᲛᲝᲜᲘᲡᲘ ᲤᲝᲗᲝ.

ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐ

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲝᲙᲣ�პᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, (საკადრო). მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოითხოვა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო ნამიბიის უკანონო ოკუპაციას, სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფალნი კვლავ ზრდიან იქ თავიანთ სამხედრო პოტენციას. ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც იგეულის დედაქალაქში გაავრცელა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დასავლეთ ევროპაში პიტერ პატაიავეიმ.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ნამიბიაში ამ ბოლო დროს შეიქმნა მთელი რიგი ახალი სამხედრო ბაზები და სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები,

ქვეყანაში არსებული წესებინ დასამკვიდრებლად და მსოფლიო საზოგადოებრიობის შესაცდენად, აღნიშნულია განცხადებაში, სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი ცდილობდნენ ქვეყნის მომავალი პოლიტიკური წყობილების საკითხზე მოეწყოთ ეგრეთწოდებული „საკონსტიტუციო კონფერენცია“ თავიანთი მარionეტების ზოგიერთი ტომის ბელადის მონაწილეობით.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დასავლეთ ევროპაში მოუწოდა დასავლეთ ევროპის მთელ დემოკრატიულ ძალებს საპროტესტო კამპანია გააჩაღონ ნამიბიის პროგრესულ მოღვაწეთა მასობრივი დაპატიმრების წინააღმდეგ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲔᲚᲘ



ᲠᲝᲛᲘ

ზაფხულის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა იტალიის პარლამენტმა. დეპუტატთა პალატა შეუდგა ადრე შემუშავებული ორი მთავრობისეული კანონპროექტის განხილვას, რომლებიც ითვალისწინებენ 4 ტრილიონი ლირა დამატებითი კაპიტალდაბანდება გამოიყენონ სამინაო მშენებლობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის, რადგან ეკონომიკის ამ დარგებს განსაკუთრებით შეეხო კრიზისი.

ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ

ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ მიღებული ცნობებით, სამხრეთ აფრიკის პოლიციამ დაატპატიმრა ჯენი კერტისი, წარსულში ქვეყნის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იგი დაატპატიმრეს უბადაღებული „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონის“ საფუძველზე, რომელიც პოლიციას უფლებას აძლევს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად განუსაზღვრელი დროით დაატპატიმრონ ადამიანები.

ᲓᲔᲚᲘ

სოფელ გორლავაიდში (ანდჰარა-პრადეშის შტატი) აღმოაჩინეს რომაული ოქროს მონეტა, რომელიც დათარიღებულია ჩვენი წელთაღრიცხვის 160 წლით. უფრო ადრე ამავე შტატში იპოვეს ასობით რომაული ვერცხლის მონეტების საცავი. ინდოელი ისტორიკოსების აზრით, ეს მოწმობს რომ, ძველ ინდოეთს საკმაოდ განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რომის იმპერიასთან.

ᲐᲙᲐᲠᲐ

აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და განის რესპუბლიკის 1975-1976 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ოქმს.

ᲛᲣᲙᲚᲔᲓ

ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲐᲠᲘᲡ მოვლენები, რომლებიც ღრმა კვალს ტოვებს ქვეყნებისა და კონტინენტების ცხოვრებაში. მათში ბისახები ხალხთა მრავალი წლის გამოცდილება, ენერგია და ბრძოლა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის და ამავე დროს კეთილსასურველ პირობებსა და შესაძლებლობებს ქმნის შემდგომი წინსვლისათვის. ასეთ მოვლენებს მიეკუთვნება, ცხადია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება.

ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკისა და კანადის ხელმძღვანელ მოღვაწეთა ისტორიაში უპრეცედენტო შეხვედრის ისტორიულ არსსა და პოლიტიკურ მასშტაბურობას რომ აფასებდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავდნენ: „თათბირის შედეგად მიღწეული შეთანხმებები შეესაბამება ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, მშვიდობისა და თავისუფლების იმ პრინციპებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა და რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო იცავს მთელი თავისი ისტორიული გზის მანძილზე“.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია:

„ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ საბოლოოდ აღიარებულია ტერიტორიული ცვლილებანი, რომლებიც ევროპაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. განვსორციელოთ ძირეული შემობრუნება ამ კონტინენტზე დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისაკენ. უზრუნველყოთ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა და მისი წარმატება“.

და აი დღეს ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტი შესრულებულია. შესრულდა ისე, რომ სრულად არის დაცული სოციალისტური თანამეგობრობის ძირეული ინტერესები ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის ტერიტორიული და პოლიტიკური შედეგები კონტინენტზე ამიერიდან დადასტურებულია და საიმედოდ არის დაცული მრავალმხრივი წესით. ამავე კოლექტიურ საფუძველზე აღიარებულია საზღვრების ურღვევობის პრინციპი — უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ყველა ეს წლები მტკიცედ და თანამედეგრულად იცავდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ღიპლომატია ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური რუკის გადასინჯვის რევანშისტული და სხვა გეგეგების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

სრულიად ევროპის თათბირი ამით ერთგვარ ზღვარს დებს „ძალის პოზიციისა“ და „ცივი ომის“ უნაყოფო და საშიში პოლიტიკის პერიოდთან. ევროპაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა 10 მნიშვნელოვანი პრინციპის — მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების პირობებში სახელმწიფოთა ქცევის კოდექსის — გამოცხადება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცების გზაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარების გზაზე. ამ პრინციპთა ერთობლიობა, რომელიც კოლექტიურად მოიწონეს როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ევროპის წარმომადგენლებმა, საიმედო საფუძველს ქმნის აგრესიისა და ნებისმიერი სახის ძალადობის გამორიცხვისათვის, ევროპის მიწაზე საომნელო დაპირისპირებათა შემცირებისათვის.

ყველაფერი ეს ერთად აღებული მოწმობს იმას, რომ სრულიად ევროპის თათბირი დასაბამს აძლევს დაძაბულობის შენელების ახალ, იმედისმომცემ ეტაპს. მისი გადაწყვეტილებანი და შედეგები შემობრუნების პუნქტია მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა ცხოვრებიდან ომების გამორიცხვის გზაზე ევროპის შემდგომი ყოველმხრივი წინსვლისათვის.

თათბირმა განსაზღვრა ევროპის სახელმწიფოებს შორის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, გარემოს დაცვის და ეკონომიური საქმიანობის სხვა დარგებში თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმები. ეს ნიშნავს, ეკონომიკურ საფუძველზე ადიარებულია საზღვრების ურღვევობის პრინციპი — უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ყველა ეს წლები მტკიცედ და თანამედეგრულად იცავდა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ღიპლომატია ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკური რუკის გადასინჯვის რევანშისტული და სხვა გეგეგების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

ევროპა მრავალი თვითმყოფადი ეროვნული კულტურების თავისებური კალეიდოსკოპია, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია. ეს სიმდიდრე ასახულია დასკვნითი აქტის იმ განყოფილებაში, რომელიც შეეხება თანამშრომლობას ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში. ლაპარაკია კულტურული ურთიერთობის მრავალფეროვან ფორმებზე, განათლების, მეცნიერების დარგებში კავშირურთიერთობის გაფართოებაზე. განყოფილება ითვალისწინებს შეთანხმებას ადამიანთა შორის კონტაქტების, ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ამჟამად მსოფლიოს პრესის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება გამოთქმა: „ჰელსინკის სულისკვეთება“. ერთნი მას ქმაყოფილებით წარმოთქვამენ, მეორენი — კბილის ღრჭიალით. რეალისტურად მოაზრონ ამ ტერმინის დაფნის ვვირვვინები მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებს ხვდათ წილად, ისე გამოდის, თითქოს „გაძარცულ“ დასავლეთს არაფერი არ მიეღოს — არც უზრუნველყოფილი საზღვრები, არც მყარი უშიშროება, არც რეალური სარგებლობა სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების ახალ შესაძლებლობათა სახით. ასეთი თვალსაზრისის აბსურდულობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აი რას აცხადებს ამასთან დაკავშირებით ისეთი კომპეტენტური მოღვაწე, როგორიც არის საფრანგეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი მ. დებრე: „უშინაური ყოვლისა აუცილებელია შევიგნოთ ჩვენი დაკისებული მოთხოვნილება უშიშროებისადმი, უფრო სწორად, დაძაბულობის შენელებისადმი. ეს შედეგებს, მიღებულ ვალდებულებებს. ისინი კი, ვინც უპირატესობას ანიჭებს არა დაძაბულობის შენელებას, არამედ „ცივ ომს“, აკნინებენ თათბირის მნიშვნელობას, ცდილობენ მისი შედეგები არარად აქციონ და თუ დაძაბულობის შენელებამ დასავლეთი გათიშა მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, ჰელსინკის თათბირის შემდეგ ეს გათიშვა კიდევ უფრო ღრმავდება.

„ჰელსინკის თათბირმა დაადგინა პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში“ — ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კ

ინჯერის აზრი. ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონს მიაჩნია, რომ ჰელსინკში მიღებული პოლიტიკურ ვალდებულებათა კომპლექსი სახელმწიფოებს შორის ნაყოფიერი და კონსტრუქციული ურთიერთობების განვითარების საფუძველია. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, ამბობს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. გრანელი, რომ სრულიად ევროპის თათბირმა დახურა „ცივი ომის“ ხანგრძლივი და საშიში პერიოდის სავალალო მემკვიდრეობის ფურცელი.

მაგრამ არის სხვა შეფასებებიც. დასავლეთმა „წააგო“, „სანაცვლოდ არაფერი არ შეუძენია“ — ასეთია მემარჯვენე ბურჟუაზიული პრესის კომენტარების ლეიტმოტივი. რეაქციული წრეები ცდილობენ საზოგადოებრივობას ჩაუნერგონ, რომ თათბირის დაფნის ვვირვვინები მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებს ხვდათ წილად. ისე გამოდის, თითქოს „გაძარცულ“ დასავლეთს არაფერი არ მიეღოს — არც უზრუნველყოფილი საზღვრები, არც მყარი უშიშროება, არც რეალური სარგებლობა სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების ახალ შესაძლებლობათა სახით. ასეთი თვალსაზრისის აბსურდულობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. აი რას აცხადებს ამასთან დაკავშირებით ისეთი კომპეტენტური მოღვაწე, როგორიც არის საფრანგეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი მ. დებრე: „უშინაური ყოვლისა აუცილებელია შევიგნოთ ჩვენი დაკისებული მოთხოვნილება უშიშროებისადმი, უფრო სწორად, დაძაბულობის შენელებისადმი. ეს

საქართველოს ამა-ბარეთ

მეგობრული ვიზიტით

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლეუდვიგსფელდის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯგუფი. სტუმრები გეგეცნენ № 1, № 44 პროფტექნიკურ და № 16 ტექნიკურ სასწავლებლებს, მათი კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვილობას, შრომის, სწავლებისა და დასვენების პროცესებს.

საზეიმო შეხვედრა მოეწყო № 1 პროფტექნიკური სასწავლებლის კლუბში. შეხვედრას, მასპინძლებს გარდა, ესწრებოდნენ ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები და მათი შრომბები. გულთბილი შეხვედრები და მისალმებები გამოხატავდა ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები, შთაბეჭდილებები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

მ. გორგილაძე.

□

მეურნეობის მუშებმა დაისვენეს

ჟოგულეთი (საკ. კორ.). ცეცხლსროლის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშებს არ აკლიათ პროფკავშირთა ყურადღება. წლეულს ოცამდე მუშამ მიიღო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. 12 მუშას უფასოდ მიეცა ტურისტული მატარებლის საგზური, ხოლო 30-მა მოსწავლემ ზაფხულის არდადეგები პიონერთა ბანაკებში გაატარა.

მეგობარი ჟურნალისტი

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

მ. ტარასოვი — ამტყელის ტბაზე (გუდაუთის რაიონი)

ზეაზალი ვარსკვლავი

ვარსკვლავი, რომელსაც ახლა მსოფლიოს ბევრი ობსერვატორია აკვირდება, ჩვენს გალაქტიკაში ზეახალი აღმოჩნდა. ამ მნათობის შესახებ საინტერესო ცნობები მიიღო ალასტონის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა რ. კილაძემ.

— ახალი ვარსკვლავები თავდაპირველად არაფრით არ გამოირჩევა სხვა უამრავი ღამის მნათობებისაგან და ალბუ სუსტად ანთებს, — უთხრა საინფორმის კორესპონდენტს მეცნიერმა. — მოულოდნელად აინთება ხოლმე და ღამის ცაში ნახან ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს ემსგავსება. ამ შემთხვევაში ვარსკვლავში — გავარვარებული პლაზმის უზარმაზარ მასაში — წარმოუს მისთვის კატასტროფული წვა.

ახლახან აღმოჩენილ ზეახალ ვარსკვლავს სულ ცოტა ას მილიონჯერ მოემატა სიკაშკაშე. ამჟამად შანძილი ამ ვარსკვლავამდე, მეცნიერთა აზრით, ათ-თხუთმეტ ათას სინათლის წელს შეადგენს.

მნათობის მნიშვნელობა ცნობილი გახდება რამდენიმე წლის შემდეგ, როცა აფეთქებისას წამში სამი ათასი კილომეტრი სიჩქარით კოსმოსურ სივრცეში ამოსროლილი მისი გაზის გარსი იმდენად გაფართოვდება, რომ შესაძლებელი იქნება ზუსტად განისაზღვროს მისი ზომები. ასეთი მოვლენა გალაქტიკაში საშუალოდ სამას წელიწადში ერთხელ ხდება. წინა ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების შემთხვევა 1604 წელს აღინიშნა. ჯერ კიდევ ტელესკოპის გამოგონებამდე მას კეპლერი აკვირდებოდა.

ახალი ვარსკვლავის ანთება ისეთი გრანდიოზული მასშტაბის მოვლენაა, რომ მას განიხილავენ როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვან სტადიას ევოლუციური განვითარების გზაზე. შესაძლებელია, რომ წვის დროსა და მის შემდეგ ახალი ვარსკვლავების სრული შესწავლა შუქს მოჰფენს გალაქტიკაში ვარსკვლავების განვითარების საიდუმლოებებს.

(საქინფორმი).

იაპონური გამოფენა თბილისში

24 სექტემბერს თბილისში გაიხსნა „ისკრა ინდუსტრი კო ლტდ“ ფირმის იაპონური გამოფენა „ენდოსკოპ-75“. გამოფენაზე წარმოდგენილია კომპანია „ოლიმპასის“ მარკის სხვადასხვა სახეობის ენდოსკოპები, რომლებსაც იყენებენ საყლაპავის, კუჭის, თირკმელების, გულის, სხვა ორგანოების დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკის დროს.

„ისკრა ინდუსტრი კო ლტდ“ ფირმის წარმომადგენელმა ტ. ხისატომმ თქვა, რომ გასტროკამერიანი და ფიბროსკოპიანი ენდოსკოპები შეიქმნა უახლესი ტექნიკური მიღწევებისა და ორიგინალური კონსტრუქციული გადაწყვეტის საფუძველზე.

იაპონურ ენდოსკოპებს მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიური ცენტრის წარმომადგენელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. პოდდუბნიმ. იგი თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობას წაუკითხავს ლექციის თემაზე: ენდოსკოპების გამოყენება დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

გამოფენამ, რომელიც ეწყობა სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით, სპეციალისტთა ფართო ყურადღება მიიპყრო. იგი ოთხ დღეს გასტანს, რის შემდეგაც ნაჩვენები იქნება მინსკსა და ვილნიუსში.

(საქინფორმი).

საჭადრაკო კომპოზიტორთა კონგრესი

1-5 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქში გაიმართება საჭადრაკო კომპოზიტორთა მორიგი, XVIII საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის გამართვის ადგილად თბილისის არჩევა არის პატივსაცემა საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა დამსახურებისა, რომლებმაც ავტორიტეტი მოიხვეჭეს საერთაშორისო ასპარეზზე.

საჭადრაკო კომპოზიციით, ჭადრაკის ხელოვნების ორიგინალური შემადგენელი ნაწილით ხერხიზულადაა გატაცებული მთელი მსოფლიოს ბევრი მოყვარული. მრავალდარგოვან კომპოზიციას აქვს დიდი ხნისა და მდიდარი ისტორია, ევნერების მიხედვით შეუშავებული თეორია, შემოქმედებითი სკოლები და მიმართულებანი. განხორციელებულია ნაწარმოებთა შინაარსისა და შედგენის ტექნიკის დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები, შექმნილია ამოცანებისა და ეტიუდების შედგენისა და ამოხსნის შეჯიბრების წესები, შემუშავებულია მსაჯობის პრინციპები.

მრავალრიცხოვანი პერიოდული გამოცემები, ორგანიზაციები, საზოგადოებანი და კლუბები ყოველწლიურად მართავენ ყველანაირ შეჯიბრებებს-კონკურსებს, მატჩებს, პირად და გუნდურ პირველობებს. დაწესებულია საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის, ოსტატისა და არბიტრის წოდებანი, სისტემატურად გამოდის ამოცანებისა და ეტიუდების მსოფლიო ფონდის საუკეთესო ნაწარმოებები.

საჭადრაკო პოეზიის დარგში ყველა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას ხელმძღვანელობს ფიდეს-თან არსებული მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომისია, რომელსაც პრეზიდენტი ი. ჰანელიუსი (ფინეთი) მეთაურობს. კომისია შეიქმნა 1956 წელს საბჭოთა კომპოზიტორების ინიციატივით და ამჟამად აერთიანებს 30 ქვეყნის საჭადრაკო კომპოზიტორებს.

(საქინფორმი).

5 ტური — 5 ლიდერი

პროფკავშირების საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატს 5 ტურის შემდეგ 5 ლიდერი ჰყავს! ს�სამი ქულა მოაგროვეს ოსტატმა გოლოვეიმ (მინსკი), ოსტატობის კანდიდატებმა ეოროროვამ, ზაიცევამ, პოპოვოდამ (სამეფე-მოსკოვი), იგნატჩენკომ (ზაპოროჟიე). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატ პოპოვოდას წარმატება, რომელმაც 4 ყაიმის შემდეგ მოუგო გამოცდილ ოსტატ მულგოკოს (ზაპოროჟიე).

მაგრამ არის შეჯიბრების კიდევ ერთი მონაწილე, რომელიც საუბრობთ რეალურად „ითუქრება“ ერთბორბოვნულად ჩაუდგეს სათავეში გათამაშების ცხრილს. ნორმა ნანა ოსელიანმა, რომელსაც ახლა 2,5 ქულა აქვს, მეხუთე ტურში მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია ლენინგრადის ჩემპიონატის პრიზიორ ბელოვასთან.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

ბაკინობმბმ 24 სექტემბერს მოსკოვში გამართული „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 36-ე ტირაჟის შედეგებს.

„სპორტლოტო“: 38 (მშვილდოსნობა), 22 (ციგურები), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 25 (თხილამურები — ტრამპლინი), 45 (ფეხბურთი), 11 (ველოსპორტი).

„სპორტლოტო-2“: 26 (მოტობურთი), 40 (ტურიზმი), 27 (მოტოსპორტი), 43 (ფარიკაობა), 7 (ბიატლონი), 10 (ბეერი). (საკლესი).

დიდი მოგება

თბილისელ. სოფელ ძევრში ცხოვრებმა ეფა ლეონიდეს-ძე ბოჭორიშვილმა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაციით (სერია 162442 № 22) 73-ე ტირაჟში მოიგო 1.000 მანეთი.

რ. ზარნაძე.



დამაჯერებელი გამარჯვებანი

საქართველოს წყალბურთელები ირანში

თეირანი, 25 სექტემბერი. (საკუთარს კორ.). სამი ამხანაგური მატჩი მოაწყვეს ირანელ წყალბურთელებთან საქართველოს ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა და ყველა შეხვედრაში სტუმრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. თეირანის ნაკრებთან შეხვედრის ანგარიშია 9:4, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 16:2, ირანის ნაკრებთან — 8:3.

მოკლედ

ფეხბურთი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩით (1:1) დაიწყო „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, 24-ე ტური. დღეს გაიმართება კიევე ორი შეხვედრა: ცსკა — კიევის „დინამო“ და „არარატი“ — „ტორპედო“, ხოლო ხვალ ითამაშებენ „სპარტაკი“ და „ჩერნომორეცი“.

ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს უნგრელებმა.

2:0 — ასეთი ანგარიშით მოუგო ბულგარეთის ნაკრებმა თურქეთის გუნდს სტამბულში გამართული ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი.

კალათბურთი. კოლუმბიაში დაიწყო მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატი ქალთა შორის. პირველ მატჩში საბჭოთა კალათბურთელებმა დამარცხეს კანადელები (103:52), შემდეგ — მექსიკელები (61:31). ჩვენს გუნდს ჩასატარებელი დარჩა მატჩი უნგრეთის ნაკრებთან, მაგრამ როგორიც უნდა იყოს შედეგი, მან უკვე მოიპოვა უფლება იასპარეზოს ფინალურ ტურნირში. ეს დასკვნითი ასპარეზობა სამ შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებული იქვსი გუნდის მონაწილეობით გაიმართება ბოგოტაში 27 სექტემბერს — 4 ოქტომბერს.

ვზეგზე უსაფრთხო მოძრაოებისათვის

რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ავტომოტორანსპორტის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარის დამატებით შეზღუდვათა დაწესების შესახებ, რომელიც ძალაში შევა წლეულს 1 ნოემბრიდან.

საინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს კ. კეთილაძეს განმარტა ეს გადაწყვეტილება.

— რამ გახადა საჭირო ამ გადაწყვეტილების მიღება?

— უკანასკნელ ხანს სააუტომობილო პარკის მნიშვნელოვანი გადიდების გამო რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რესპუბლიკის გზებზე ავტომოტორანსპორტის მოძრაობის დიდი სიჩქარეა. მარტო წლევანდელი წლის პირველ ნახევარში ამ მიზეზით მოხდა ყველა შემთხვევის 39,8 პროცენტი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი ძირითადად გაიზარდა გზის საშიშ ადგილებში მოძრაობის სიჩქარის გადამეტების შედეგად.

— რა სატრანსპორტო საშუალებებზე ვრცელდება მოძრაობის მაქსიმალურ სიჩქარეთა შეზღუდვა?

— ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებებზე.

— მოძრაობის სიჩქარის რა ზღვრებია დაწესებული?

— 1 ნოემბრიდან დაუსახლებელ ტერიტორიებზე გამავალ გზებზე, სადაც მოძრაობის სიჩქარე არ არის შეზღუდული საგზაო ნიშნებით, წესდება შემდეგი მაქსიმალური სიჩქარე: მსუბუქი ტრანსპორტისათვის — საათში 80 კილომეტრი, ავტობუსებისათვის — 70, სატვირთო ავტოტრანსპორტისათვის — 60 კილომეტრი. სატვირთო ავტომობილებისათვის, რომელსაც მძიმე წონის არაგაბარიტული ტვირთი გადაეკვეთ, ავტომაშინებისა და სხვა თვითმავალი მანქანებისა და სპეციალური დანიშნულების თვითმავალი მექანიზმებისათვის დაწესებულია სიჩქარის ზღვარი — საათში 50 კილომეტრი.

გათვალისწინებულია აგრეთვე მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე მძღოლებისათვის, რომელთა მუშაობის სტაჟი ორ წელზე ნაკლებია, — საათში 60 კილომეტრი.

ყველა ამ სახეობის სატრანსპორტო საშუალებებს უკან, მარცხნივ ეშნებათ სპეციალური საცნობი ნიშანი, ამასთანავე მსუბუქ ავტომობილებზე ასეთი ნიშნების დასმა უკანა მინაზე დაუშვებელია.

ეს საცნობი ნიშანი საგზაო ნიშნის 2.20 „სიჩქარის შეზღუდვის“ ფერადი გამოსახულებაა — თეთრ ფონზე შემოვლებულია წითელი არშია, რომელიც წრის დიამეტრის მეათედს შეადგენს. მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლებისათვის ნიშნის დიამეტრი 160 მილიმეტრია, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებისათვის — 220 მილიმეტრი.

საცნობი ნიშანი მძღოლებს უკეთესი ორიენტაციის საშუალებას მისცემს. მაგალითად, საცნობნიშნიანი წინ მიმავალი ავტომობილის ან ავტომატარებლის გასწრების გადაწყვეტილების მიღებისას მძღოლს ეცოდინება, რომ წინ მიმავალი ტრანსპორტი ძალიან სწრაფად არ მიდის, და ეს იმის გამო კი არა, რომ საშიშია საგზაო ვითარება, არამედ ამ სახეობის სატრანსპორტო საშუალებისათვის სიჩქარის შეზღუდვის გამო.

სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველობის მუშაკებს ნიშნი საშუალებას მისცემს უკეთ გაუწიონ კონტროლი მძღოლების მიერ სიჩქარის დაწესებული შეზღუდვის შესრულებას.

— რა გაკეთდება იმისათვის, რომ შესრულდეს გადაწყვეტილება მოძრაობის სიჩქარის დამატებით შეზღუდვათა დაწესების შესახებ?

— როგორც ცნობილია, რესპუბლიკის საავტომობილო გზები ვერ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო მოძრაობას დიდ სიჩქარეთა დროს. უფრო მეტიც: ზოგჯერ გზების მიზეზით ხდება კიდეც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საავტომობილო გზების ავტომოტორანსპორტის საშუალებები აქვთ, ვალდებული არიან 1975 წლის 20 ოქტომბრამდე გაუკეთონ შესაბამისი გამოსაცნობი ნიშნები თავიანთ კუთვნილ ტრანსპორტს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დავალა უზრუნველყოს, რომ ასეთი ნიშნები გაუკეთონ ინდივიდუალურ მფლობელთა მსუბუქ ავტომობილებსა და მოტოციკლებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, რესპუბლიკის ავტომოტოფოფაურულთა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად შესაბამისი ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გაშალონ საავტომობილო მეურნეობათა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მძღოლებსა და ავტოსატრანსპორტო საშუაოლებათა ინდივიდუალურ მფლობელებს შორის.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამზადებენ მძღოლთა კადრებს, უნდა მიიღონ იმაზე, რომ თვითეულმა ახალგაზრდა მძღოლმა არა თუ იცოდეს მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვის მოთხოვნები, არამედ პრაქტიკულად ასრულებდეს მათ. ცნობილია, რომ სწორედ სამ წლამდე სტაჟის მქონე მძღოლებს ბევრი ავარია მოსდით.

— რა ვადაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მანქანების საცნობი ნიშნები?

— არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა. ხოლო 1 ნოემბრიდან ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაცია, რომელებსაც არ ექნებათ სიჩქარის შეზღუდვის ნიშნები, აიკრძალება.

რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვეტილება ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის დამატებითი შეზღუდვის შესახებ მეტად საჭირო და დროული. იგი მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა შემცირებას, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის კონტროლის ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალება აქვს. იმ მძღოლთა მიმართ, რომლებიც გადაჭარბებენ მოძრაობის დადგენილ სიჩქარეს, განხორციელდება ადმინისტრაციული ზემოქმედების ყველაზე მკაცრი ღონისძიებები.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევათა დონე დამოკიდებულია ადამიანზე, ავტომობილზე, გზაზე. და თუ რომელიმე ამ ფაქტორთაგანი არ შეესაბამება ინტენსიური საგზაო მოძრაობის თანამედროვე მოთხოვნებს, ლაპარაკიც ზედმეტია ავარიების წინააღმდეგ ბრძოლის დაღებით შედეგებზე. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება კიდევ ერთხელ მოვაგონოთ საავტომობილო გზების, კერძოდ, სოფლის გზების მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ პირთ, რომ ავარიულობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა დიდად არის დამოკიდებული მათზე. ბრანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეითად მოსიარულეთა დისციპლინირებასაც. (საქინფორმი).

შემთხვევა

ჯემალის მეორედ დაბადება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გურამ ვლადიმერის-ძე ხარაიძე მამაცობის, ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის





ავტოსალონი

გიგანტები

ბელორუსიის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი ავტომატარებელი-ნახშირმზიდი. მისი ტვირთამწეობა 120 ტონაა, სიგრძე ოცი მეტრი აქვს, სიმაღლე ოთხნახევარი მეტრი, ჰორიზონტალურ ავტოსტრადაზე დატვირთული ავტომატარებლის სიჩქარე საათში 60 კილომეტრია.

ავტომატარებელი-ნახშირმზიდი გამოცდას გადის კემეროვოს ოლქის ბაჩატკის ქვანახშირის კარიერებზე. დღეღამეში ავტომატარებელ-ნახშირმზიდს გამოაქვს 3-3,5 ათასი ტონა საწვავი.

სურათზე: ავტომატარებელი-ნახშირმზიდი ბაჩატკის ქვანახშირის კარიერებზე.

** დიდი** მოწონებით სარგებლობს უნგრული სამგზავრო ავტობუსები — „იკარუს-250“. ქარხანა ყოველწლიურად 6 ათას ავტობუსს უშვებს, აქედან ნახევარზე მეტს საბჭოთა კავშირში გზავნის.

სურათზე: „იკარუს-250“ მარკის ავტობუსები მზად არის საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნად.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 12087 ხელ. კმ ტკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ეროვნული გრაფიკით

29 სექტემბერი

16.00 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა“, 16.50 — სტუდენტთა დასახმარებლად ზოგადი ფიზიკა, 17.50 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 18.10 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.30 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 20.10 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე“, 20.35 — „ჟელსნეკის შემდეგ“, 21.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შრომა და დასვენება“ სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 23.05 —სატელევიზიო ფილმი „ვაჟივლეთან“. 23.50 — ახალი ამბები.

30 სექტემბერი

10|30 — მულტიპლიკაციური ფილმი (ფერადი გამოსახულებით გადმოცემა მოსკოვიდან),10.45— სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 11.55 — „მხატვრები მუშათა ქალაქიდან“, 12.25 — მხატვრული ფილმი -- „მდელვარების ორი დღე“, 13.50 — უნგრეთის ტელევიზიის პროგრამა, 14.45 — სამეცნიერო-პოპულარული კინოჟურნალი „სოფლის მეურნეობა“ № 4 (ქართულ ენაზე), 15.00 — „საგამოფენო დარბაზებში“, 15.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის, ქართული ენა, 16.15 — სატელევიზიო ფილმი, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 17.45 — სატელევიზიო ჟურნალი მოსწავლეთათვის — „ცისარტყელა“, 18.35 — სპორტული მიმოხილვა, 18.55 — „ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში“, 19.15 — „პარტიის XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა“, 19.35 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 20.15 — სატელევიზიო ჟურნალი „მხედრული დიდება“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „სასეტრადო პანორამა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საუბარი თანამედროვე პროზაზე“ — ჯ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, 23.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „შემოდგომის ნოველა“. დასასრულ ახალი ამბები.

1 ოქტომბერი

10.30 — ტელესტუდია „ორლეანოელის“ საკონცერტო დარბაზი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 11.30 — მხატვრული ფილმი „ცხრამეტთა კომიტეტი“ პირველი სერია (ქართული ვარიანტი), 17.05—სტუდენტთათვის—ქიმია, 17.45 — „ციერდენას ეკრანი“, 18.15 — უზრუნველს ტელევიზიის პროგრამა, 18.45 — „უკრავს სასელმწიფო კვარტეტი“, 19.10 — კინონარკვევი, 19.30— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე „დინამო“ (კიევი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეი). (გადმოცემა კიევიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მუსიკის საერთაშორისო დღე“ — ვიდეოფანაწერი.

2 ოქტომბერი

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზანადალი“, 11.15 — მხატვრული ფილმი „ცხრამეტთა კომიტეტი“, მეორე სერია (ქართული ენაზე), 17.30 — დოკუმენტური ფილმი „ჟურნალდება, მუქთასხარენ!“, 18.35 — კონცერტი, 19.05 — „მეენიერების აქტიურები პრობლემები“, 19.25 — სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 19.45 — „ჩვენი კომენტარი“, 19.55 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.25 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 —სატელევიზიო ფილმი, 22.00— „ერემია“— საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგობისთვე“, დასასრულ — ახალი ამბები.

3 ოქტომბერი

10.30 — კინონარკვევი „ბაგრის მიწაზე“, 11.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 11.30 — მხატვრული ფილმი „სხვისი მოყვრები“, 17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.35— დოკუმენტური ფილმი „სკულპტურული პორტრეტი“, 18.00 —სტუდენტთა დასახმარებლად ფიზიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50— მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზღვის პირას“, 19.35 — ტელენარკვევი „თუშეთის ბილიკებზე“, 20.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 20.15 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვერა და თეოდორე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „იმღერე, პოეტო!“ (ფილმი ეძღვნება ს. ესენინის დაბადების 80 წლისთავს), დასასრულ ახალი ამბები.

4 ოქტომბერი

10.30 — შვილსწავლოთ ქართული ენა, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო“ (გადმოცემა მოსკოვიდან) , 11.30 — „დღის ფოსტა“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი „დამეული“, 13.19 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — კინოპროგრამა, 14.30 — „ასი სურათი მეტროპოლიტენის მუზეუმიდან“ — რეპორტაჟი გამოფენიდან. (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 15.45 — კინონარკვევი, 15.55 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 17.00 — „ეინოს მოყვარულთათვის“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.45 — კინოპროგრამა, 19.15 — „ცხოველთა სამყაროში“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ადამიანები და ხიმალდები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „გადაშლილი წიგნი“ (პირველი სერია). დასასრულ ახალი ამბები.

5 ოქტომბერი

10.30 — „ბაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — შვილსწავლოთ რუსული ენა, 11.30 — მხატვრული ფილმი „ბიჭები“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯადოსნური ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 13.50 — „კინოფიშა“, 14.20 — კინოდოკუმენტალისტის თვალით, 15.50 — „მულტიპანორამა“ (გამეორებით), 17.15 — „საერთაშორისო პანორამა. (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — „ჩემი მასწავლებელი“, 18.30 — სპორტული პროგრამა, 20.15 — „ლიტერატურული ალმანახი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „გადაშლილი წიგნი“ II სერია.

ტელევიზია

26 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 11.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ათასი სული“ (II და III ნაწილი), 13.05 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „განკიცხულნი“ (მეოთხე სერია), 14.05 — — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 15.25 — სატელევიზიო ჟურნალი — „გამომგონებელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.55 — ს. მარშაკი „თორმეტი თვე“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — სკოლების დასახმარებლად — ფრანგული ენა, 17.00 — კინონარკვევი „მეცნიერები — სოფელს“, 17.20 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ფიზიკა, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის „კომკავშირულ მერიდიანზე“, 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — „ჩვენი სტუმრები“, 18.55 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“. — „ენგურჰესელი კომუნისტები“, 19.30 — ლიტერატურული კონცერტი, 20.15 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა — „დინამო“ (კიევი) II ტაიმი. (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — მხატვრული ფილმი „ცხრამეტთა კომიტეტი“ II სერია (ქართულ ენაზე).

მეორე პროგრამით

19.00 — დოკუმენტური ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა“.

რადიო

27 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — შ. აზმაიფარაშვილი სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — საუბარი „შვიდობის პროგრამა დაძაბულობის შენელების ფაქტ